

0421 სამართალი LOW

ციფრული გარდასახვის სამართლებრივი ასპექტები, ხელოვნური ინტელექტი და უმაღლეს განათლება

ნანა ჩაჩანიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

E-mail: nchachanidze@ibsu.edu.ge

რეზიუმე

**კვლევის საგანი და მიზანი:** სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენს ინტერნეტ-სამართლისა და ხელოვნური ინტელექტის ინტერდისციპლინური კავშირების განხილვა და მისი ასახვა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამებში - კურიკულუმებში. კვლევა მიზნად ისახავს დაასაბუთოს ამ მიმართულების, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის შემოტანის თეორიულ-პრაქტიკული აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი იურისტთა კადრის მომზადებას ციფრული საბაზრო ეკონომიკისა და გლობალური ქსელური უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ.

**მეთოდოლოგია:** კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური დედუქციისა და სისტემური ანალიზის ინტერდისციპლინური მოდელირების მეთოდები. ნაშრომი ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიური სამართლისა და კიბერუსაფრთხოების თ საერთაშორისო სტანდარტებსა და პრეცედენტებს.

**შედეგები:** ჩამოყალიბებულია ახალი სასწავლო დისციპლინის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ისეთ თანამედროვე მოდულებს, როგორცაა ალგორითმული გამჭვირვალობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ინტერნეტში, საავტორო უფლებები გენერაციულ მოდელებში, და ხელოვნური ინტელექტის სუბიექტობის ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. **გამოყენების სფერო:** ნაშრომში გამოკვეთილი შედეგები და რეკომენდაციები განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ციფრული პოლიტიკის მომხმარებელი უწყებებისთვის.

**დასკვნები:** ინტერნეტ-სამართლისა და ხელოვნური ინტელექტის კომპლექსური სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში არის სტრატეგიული აუცილებლობა, რომელიც აყალიბებს თანამედროვე სამართლებრივ ცნობიერებას და უზრუნველყოფს საზოგადოების გლობალურ ციფრულ სივრცეში ინტეგრირებას.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება, სასწავლო დისციპლინა, ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი, ინტერნეტ-სამართალი.

შესავალი

მეოცე საუკუნის დასასრული და 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედი აღინიშნება ტექნოლოგიური ევოლუციის მასშტაბური ტემპით. ინტერნეტის სწრაფმა გავრცელებამ და ხელოვნური ინტელექტის მასობრივმა შემოტანამ სწრაფად მოახდინა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული არქიტექტურის ცვლილება. ციფრული სამყარო ტექნიკური ინსტრუმენტიდან გარდაიქმნა დამოუკიდებელ გლობალურ სივრცედ, სადაც უსწრაფეს დროში წარმოიშობა ახალი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობები. ამან განაპირობა ის, რომ ტრადიციული სამართლის არსებული დოგმები უკვე უძლურია გასცეს პასუხი ახალწარმოშობილ, საზოგადოებისათვის უცნობ ფენომენებს, როგორცაა ალგორითმული უთანასწორობა, სმარტ-კონტრაქტები, ყალბი ვიდეო, აუდიო ან ფოტო მასალა და სხვა უამრავი.

აღნიშნულმა რეალობამ განსაზღვრა უმაღლესი იურიდიული განათლების ფუნდამენტური რეფორმირების აუცილებლობა. თანამედროვე უნივერსიტეტები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, რადგან არსებული სტანდარტული დარგების (სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული სამართალი) სწავლებით, ისინი ვეღარ უმკლავდებიან რეალური შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომლისათვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი ახალი თაობის იურისტები, რომლებიც ფლობენ როგორც იურიდიულ ნორმებს, ისე ციფრული ტექნოლოგიების ბაზისურ პრინციპებს. უმაღლესი განათლების სისტემაში დამდგარი ეს სისტემური წყვეტა წარმოადგენს რთულ გამოწვევას, და მისი გადაჭრა მოითხოვს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი იურიდიული კადრის მომზადებას.

სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს და დაადგინოს ინტერნეტ-სამართლისა და ხელოვნური ინტელექტის, როგორც უმაღლესი სასწავლებლის კომპლექსური სასწავლო დისციპლინის შემოტანის თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება.


ნაშრომი ეყრდნობა ავტორის მიერ წინა კვლევებში განხორციელებულ მეცნიერულ-ფილოსოფიურ იდეებს და გვთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზების სისტემურ ხედვას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

**ძირითადი ნაწილი**

**თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება და მოდულის სისტემატიზება**

ინტერნეტ-სამართლისა და ხელოვნური ინტელექტის სასწავლო დისციპლინის სტრუქტურირება მოითხოვს ახალი თეორიული ბაზისისა და პრაქტიკული მოხმარების მკაცრ სისტემურ დიფერენციაციას. თეორიულად, ეს დისციპლინა სწავლობს თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესისა და ჰუმანისტური სამართლის სინთეზს. პრაქტიკული თვალსაზრისით, დისციპლინა მაღალი ღირებულებისაა, რადგან იგი უშუალოდ პასუხობს შრომის ბაზრის მიმდინარე დეფიციტურ მოთხოვნას. იურისტს, რომელსაც მიღებული აქვს ღრმა ცოდნა ინტერნეტ-სამართლის სფეროში, შეუძლია წარმატებით იმუშაოს ისეთ მაღალტექნოლოგიურ სფეროებში, როგორცაა ელექტრონული კომერცია და მისი სამართლებრივი რეგულირება, კიბერდანაშაულთან ბრძოლა, მონაცემთა უსაფრთხოების აუდიტი და პლატფორმების შინაარსის (Content) მოდერაცია.

სასწავლო პროგრამების სრულყოფისთვის, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, აღნიშნული დისციპლინა წარმოვადგინოთ ოთხ ძირითად ფუნქციურ მოდულად, ნახ 1.



**ნახ 1. სასწავლო დისციპლინის მოდულები**

ამ მოდულების მოკლე შინაარსი ასეთია:

**მოდული 1. კიბერსივრცის სამართალი და ელექტრონული კომერცია:** ეს მოდული გამიზნულია ინტერნეტ-სივრცეში არსებული სამართლებრივი გარემოს ძირეულ შესწავლაზე. მთავარი აქცენტი მიმართულია გლობალურ ქსელში სამოქალაქო და კომერციული ურთიერთობების რეგულირებაზე. სტუდენტები ძირფესვიანად შეისწავლიან დომენური სახელების მართვის სამართლებრივ ასპექტებს და ამ სფეროში წარმოშობილი საერთაშორისო დავების გადაწყვეტის მექანიზმებს (ICANN/WIPO წესების მიხედვით). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული ხელმოწერებისა და ელექტრონული კონტრაქტების კანონით გათვალისწინებულ საკითხებს, ონლაინ ტრანზაქციების უსაფრთხოებას და ინტერნეტ-პლატფორმებზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მყარ სამართლებრივ გარანტიებს. მოდულის ათვისებით სტუდენტებს გამოუმუშავდება უნარები, რომლებიც აუცილებელია ციფრული



ოთხმოდულიანი სტრუქტურა იძლევა საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური მოდერნიზაციის შესაძლებლობას.

ამ დისციპლინის თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ამზადებს ამ სფეროსათვის საჭირო მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრებს. ამ მოდულების ათვისებით სპეციალისტებს აქვთ შესაძლებლობა დაიცვან ადამიანის უფლებები და სახელმწიფოებრივი ინტერესები ნებისმიერ დონეზე ციფრულ ეპოქაში. უნივერსიტეტებისა და ტექნოლოგიური სექტორის შეთანხმებული თანაქმედება ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ამსაღებლად და გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში.

#### ლიტერატურა

1. ჩაჩანიძე ნ., ინტერნეტ-სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, როგორც უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო დისციპლინა და მისი თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N3 (80), 2025.
2. ჩაჩანიძე თ., უმაღლესი განათლებისა და შრომის ბაზრის სინერგიის სისტემურ-ლოგიკური მოდელირება. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N1 (81), 2026.
3. ჩაჩანიძე გ., დემოგრაფიული უსაფრთხოების მართვის სისტემური ანალიზი და ლოგიკურ-მათემატიკური მოდელირება. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N1 (81), 2026.

### Legal Regulation of Digital Transformation: Artificial Intelligence in Higher Education

Nana Chachanidze

#### Abstract

The paper explores the interdisciplinary links between Internet Law and Artificial Intelligence, advocating for their integration into higher education curricula. The primary objective is to demonstrate the theoretical and practical necessity of establishing this domain as an independent academic discipline to prepare future legal professionals for the challenges of the digital economy and global network security. Utilizing system analysis and comparative legal methods, the study outlines a four-module structural matrix covering cybercommerce, artificial intelligence regulation, intellectual property in the digital era, and data protection. By embedding multi-layered social and educational indicators, the framework aligns university curricula with real market demands, thereby preventing intellectual resource drain and enhancing national scientific potential in the global digital space.

**Keywords:** Internet Law, Artificial Intelligence, Academic Discipline, Higher Education, Digital Transformation.